

ნიკოლაი ბერდევ

Николай Бердяев

ფემოკრატია, სოციალიზმი და თეოკრატია

ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი / 2024

წინამდებარე გამოცემა აიერთიანებს ნიკოლაი ბერდიავის ორ ტექსტს: 1. დემოკრატია, სოციალი-გმი და თეოკრატია, 2. ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი.

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი

კორექტორი: ნინო ჯავახიშვილი

გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2024

ვებ-გვერდი: AKTI.GE

© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6594-7

სარჩევი

დემოკრატია, სოციალიზმი და თეოკრატია.....	5
ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი.....	49
ყოფიერება და თავისუფლება.....	49
ადამიანის მონობა ყოფიერებისადმი.....	49
ღმერთი და თავისუფლება.....	67
ადამიანის მონობა ღმერთისადმი.....	67

დემოკრატია,
სოციალიზმი და თეოკრატია

|

მე დეკომრატიისა და სოციალიზმის სულიერი ფუძემდებლური პრინციპები მაინტერესებს და, ამდენად, ჩემი კვლევის საგნად ვხდი არა ნახევრად დემოკრატიისა და ნახევრად სოციალიზმის მრავალფეროვან ფორმებს, არამედ ამ ტიპების ზღვრულ გამოხატულებებს, მათ „იდეას“. დემოკრატიასა და სოციალიზმს შორის არსებობს სხვადასხვა გარდამავალი ფორმები, მათი შეხამება და კომბინაციები. არსებობს უამრავი პარტია, რომლებიც საკუთარ თავს სოციალ-დემოკრატიულს უწოდებს, მაგრამ მართლები იყვნენ ბოლშევიკები, როდესაც გააუქმეს სახელწოდება „სოციალ-დემოკრატიული“ და საკუთარ თავს კომუნისტები უწოდეს, ანუ

„კომუნისტურ მანიფესტს“ დაუბრუნდნენ. მარქსი კომუნისტი იყო. ის არ იყო სოციალ-დემოკრატი და არასოდეს ყოფილა დემოკრატი. პათოსი მისი არსებითად ანტიდემოკრატიულია. „მეცნიერული“ სოციალიზმი წარმოიქმნა და ევროპის ხალხების აზრსა და ცხოვრებაში შევიდა არა როგორც დემოკრატიული მოძღვრება. ასევე არადემოკრატიული და ანტიდემოკრატიული იყო სენ-სიმონის უტოპიური სოციალიზმი, რომელიც წარმოადგენდა რეაქციას საფრანგეთის რევოლუციაზე და დიდწილად უ. დე მესტრის მოძღვრების სულიერი მონათესავე გახლდათ. დემოკრატია და სოციალიზმი ფუნდამენტურად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. რუსი კომუნისტები მართლები არიან ამის მტკიცებისას. უორესის ტიპის დემოკრატიული სოციალიზმი, დასაბუთებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის ფარგლებში, არ წარმოადგენს ჭეშმარიტ სოციალიზმს. ეს ნახევრად სოციალიზმია, რომელიც არ გამოხატავს სოციალისტურ იდეას. ჩვენი სოციალისტ-რევოლუციონერები და მენშევიკებიც, როგორც ჩანს, მემარცხენე დემოკრატები უფრო არიან, ვიდრე სოციალისტები.

დემოკრატიას ფორმალური ხასიათი აქვს, მან თავად არ იცის საკუთარი არსი და დასამტკიცებელი პრინციპის ფარგლებში არანაირი არსი არ გააჩნია. დემოკრატიას არ სურს იცოდეს, რისთვის ხდება ერის ნების გამოხატვა და არ სურს, ერის ნება რაიმე

უმაღლეს მიზანს დაუქვემდებაროს. იმ წუთს, როდე-
საც დემოკრატია გააცნობიერებს მიზანს, რომლის-
კენაც უნდა ისწრაფოდეს ერის ნება, იგი მოიხვეჭს
ღირსეულ საგანს საკუთარი ნებისთვის და პოზი-
ტიური არსით შეივსება. მან ეს მიზანი, ეს საგანი, ეს
არსი თავად ნების გამოხატვის ფორმალურ პრი-
ნციპზე მაღლა უნდა დააყენოს, საზოგადოების ფუ-
ნდამენტად უნდა აქციოს, მაგრამ დემოკრატიამ იცის
ნების გამოხატვის მხოლოდ ფორმალური პრინციპი,
რომელსაც ყველაზე მეტად აფასებს და არ სურს,
რომ იგი რაიმეს დაუქვემდებაროს. დემოკრატია
გულგრილია ერის ნების მიმართულებისა და შინა-
არსისადმი და არავითარი კრიტერიუმი არ გააჩნია
ამ მიმართულების (რომელშიც ერის ნება ცხად-
დება) ჭეშმარიტებისა თუ სიყალბის დასადგენად
ერის ნების ხარისხის განსაზღვრისათვის. ერის მმა-
რთველობა უსაგნოა, იგი არ არის მიმართული რა-
იმე ობიექტისადმი. დემოკრატია გულგრილი რჩება
კეთილისა და ბოროტისადმი. იგი ტოლერანტულია,
რადგან გულგრილია, რადგან მას დაკარგული აქვს
სიმართლის რწმენა, იგი უძლურია აირჩიოს სიმა-
რთლე. დემოკრატია სკეპტიკურია. იგი სკეპტიციზ-
მისა და ურწმუნობის საუკუნეში ჩნდება, როდესაც
ხალხს დაკარგული აქვს ჭეშმარიტების მყარი კრი-
ტერიუმები და უძლურია აღიაროს რომელიმე აბ-
სოლუტური ჭეშმარიტება. დემოკრატია არის უკიდუ-
რესი რელატივიზმი, იგი ყოველივე აბსოლუტურის

ყოფიერება, თავისუფლება, ომერთი

ყოფიერება და თავისუფლება.

ადამიანის მონობა ყოფიერებისადმი

მეტაფიზიკა მუდამ ონტოლოგიად, ყოფიერების ფილოსოფიად ყოფნას ცდილობდა. ეს ძალიან ძველი ფილოსოფიური ტრადიციაა. მისი მთავარი ფუძემდებელი პარმენიდეა, ის უპირატესად ონტოლოგია. პარმენიდეს არათერი ჰქონდა უფრო განყენებული, ვიდრე ყოფიერების ცნება. პლატონი ვერ ურიგდებოდა ასეთ განყენებულობას და ყოფიერების პრობლემის გართულებასა და დაზუსტებას ცდილობდა. მაგრამ პლატონისგანაც ონტოლოგიური ტრადიცია იღებს სათავეს. ჩვენს დროშიც კი ონტოლოგიური ფილოსოფიის მიმდევრები პლატონიკოსები არიან. მე დიდი ხნის წინ დავეჭვდი

ონტოლოგიზმისა და, კერძოდ, პლატონის ონტოლოგიზმის ჰეშმარიტებაში, რაც ჩემს წიგნში „შემოქმედების აზრი“ გამოვხატე, სადაც ყოფიერებაზე თავისუფლების პრიმატს ვამტკიცებდი, თუმცა ჩემი ტერმინოლოგია არასაკმარისად მკაფიო და თანმიმდევრული იყო. დღეს მეტად, ვიდრე ოდესმე, ვფიქრობ, რომ ონტოლოგიზმი მცდარი ფილოსოფიაა. ჰეშმარიტად ეგზისტენციალური ფილოსოფია მიმაჩნია, რაც აზროვნების განსხვავებული ტიპია და განსხვავებული აღქმაა *essentia*-სა და *existentia*-ს შორის ოდინდელი დამოკიდებულების პრობლემისა. ჰეშმარიტი ფილოსოფია კონკრეტული რეალობის, არსებულისკენ უნდა ისწრაფოდეს. ასეთი მიმდინარეობა არსებობს ფილოსოფიურ აზროვნებაში. სხვათა შორის, პლატონთანაც არსებობდა მარადი ჰეშმარიტება, მიუხედავად მისი განყენებული ონტოლოგიზმისა.

ყოფიერების პრობლემა პირველ რიგში არის პრობლემა იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს იგი აზროვნების კონსტრუქციას, ანუ სუბიექტის მიერ განხორციელებულ ობიექტივირებას, ანუ რაღაც მეორადსა და არა პირველადს. ყოფიერება ცნებაა, ანუ რაღაც, რამაც ობიექტივირებული აზრი გაიარა, მასზე აბსტრაქციის ბეჭედია დასმული და ამდენად იგი, მსგავსად ყველა სახის ობიექტივირებისა, იმონებს ადამიანს. არსებობის პირველ სუბიექტივირებაში ყოფიერება საერთოდ არ არის მოცემული,

ჩვენ არ გაგვაჩნია ყოფიერების მოცემულობის გა-
მოცდილება. პარმენიდესთან, პლატონიზმში, ონტო-
ლოგიზმში ჭეშმარიტი, იდეალური ყოფიერება არის
ზოგად-უნივერსალური, ხოლო ცალკეულ-ინდი-
ვიდუალური არის ან წარმოებული და დაქვემდე-
ბარებული, ან მოჩვენებითი. იდეალური, იდეურია
ჭეშმარიტად რეალური. რეალურია უნივერსალიები.
მრავლობითი და ინდივიდუალური სამყარო მეო-
რადი, ასახული, არა სრულად რეალურია, მასში ყო-
ფიერება არყოფნასთან არის შეზავებული. ასეთია
ბერძნული ფილოსოფიური აზრის მწვერვალი, რო-
მელიც ახალ და უახლეს ონტოლოგიურ ფილოსო-
ფიაშიც ძალაშია. თუმცა საპირისპიროც მართალია:
სწორედ ეს ემპირიული, ობიექტივირებული სა-
მყარო წარმოადგენს ზოგადის, კანონის, აუცილებ-
ლობის, ყოველივე ინდივიდუალურისა და პირადის
უნივერსალური საწყისებით იძულების სამეფოს, სუ-
ლიერი სამყარო კი არის ინდივიდუალურის, ცალკე-
ულის, პირადის, თავისუფლების სამეფო. „ზოგადი“,
ობიექტურად მაიძულებელი, მხოლოდ ამ ემპირიულ
სამყაროში ბატონობს, ის არ გვხვდება სულიერ სა-
მყაროში. სული, გავრცელებული შეხედულების
საპირისპიროდ, უპირველეს ყოვლისა, „ზოგადის“
საპირისპიროა, ის მხოლოდ ცალკეულს ცნობს.
ცალკეულისა და მრავლობითის პრობლემა იმის-
გან განსხვავებულად უნდა დაისვას, როგორც ამას
პლატონი და პლატონიკოსები აკეთებენ. ადამიანის